MES 1 24 0000048251

22/01/2024

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 8 იანვარს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- ელენე კაკაბაძე
- გიორგი ნაჭყეპია

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
დირექტორი - სოფიო მაჭარაშვილი;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ალინა კუპრავა;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ნინო თამაზაშვილი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ციხისელმა, მისი განცხადებით, 2023 წლის 28 ივლისის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგის მეოთხე საკითხად განხილულ იქნა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მონიტორინგის საკითხი. საკითხის განხილვის დასასრულს, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით 5.1. კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა ადგილზე ვიზიტი, მონიტორინგის თარიღად - 2024 წლის 23 იანვარი (ოქმი N972564-08.08.23). აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე, 5.1. კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. დაწესებულებამ, ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, აღნიშნული კომპონენტის სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, უნდა უზრუნველყოს შემდეგი ინდიკატორების დაკმაყოფილება:

- ინდიკატორი 5.1.2.1 - დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში სახანძრო უსაფრთხოების ზომების დაცვა;
- ინდიკატორი 5.1.2.3 - დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ევაკუაციის გეგმის შეთანხმება კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ორგანოსთან;
- ინდიკატორი 5.1.2.4 - დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მოწყობა.

მისი თქმით, გამომდინარე იქედან, რომ 5.1.2.1 და 5.1.2.3 ინდიკატორების დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს დოკუმენტები, კერძოდ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო შესაბამისობის დასკვნა და შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა, ხოლო 5.1.2.4 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად - ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის გამართულად მუშაობის მტკიცებულება, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხების/დოკუმენტების შესწავლა არ საჭიროებს ექსპერტთა ჯგუფის შექმნასა და მონიტორინგის ვიზიტის განხორციელებას სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. 5.1. კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მიზანშეწონილი იქნება, დაწესებულებამ წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა, შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა და ფოტო და ვიდეო მტკიცებულება ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის გამართულად მუშაობის დასადასტურებლად, ხოლო შემდგომ, ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის გამართულად მუშაობის საკითხი გადამოწმდეს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული, სხვა ნებისმიერი სახის ადმინისტრაციული წარმოების დროს. ცენტრი შუამდგომლობს საბჭოს წინაშე სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბჭოს შუამდგომლობით ჩანიშნული მონიტორინგის ფორმის ცვლილებასთან დაკავშირებით - ნაცვლად ადგილზე ვიზიტისა, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა.

საბჭოს თავმჯდომარე და წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულ ცვლილებას მონიტორინგის ჩატარების ფორმასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ვალერი გულბანი, შემოუერთდა საბჭოს სხდომას.

პირველი საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჭუჭულაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208, ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქუჩა №14 ვ). ექსპერტთა ჯგუფმა

შეისწავლა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის გეგმური მონიტორინგის მასალები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი ქ. თბილისში, ხოლო 25 ოქტომბერს - ქ. საჩხერეში. დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მონიტორინგის დასკვნა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- დაწესებულებას ადამიანური რესურსების მართვაში ჩართული ჰყავს ფსიქოლოგ-კონსულტანტი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებია: აკადემიის პერსონალისათვის (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები) და სტუდენტებისათვის ფსიქოლოგიური კონსულტირება, აკადემიის პერსონალთან და სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების ჩატარება, აკადემიის პერსონალისა და სტუდენტებისათვის დარგობრივი საჯარო ტრენინგების ჩატარება, აკადემიის მიერ ადამიანური რესურსების შერჩევაში მონაწილეობის მიღება (მათ შორის, შესარჩევი კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, გასაუბრებაზე დასწრება). დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ფსიქოლოგ-კონსულტანტის ჩართულობამ კარგი შედეგი აჩვენა პერსონალის მართვის პოლიტიკის გადამუშავების ეტაპზე, პერსონალის საჭიროებების დადგენისას.
- აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მართვა ხორციელდება ISO 9001:2015 -ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად და მისი შენარჩუნება ხდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარებითა და ხელმძღვანელობის მხრიდან არსებული მდგომარეობის გაანალიზებით ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ შესაბამისი პროცესების შეფასების შედეგებით. აკადემიის პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება, მონაცემების დამუშავება და მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.
- აკადემიამ დააფუძნა სასწავლო საწარმო, რომლის ფარგლებშიც „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის პროფესიული სტუდენტები დამოუკიდებლად ასრულებენ სხვადასხვა კომპანიის მიერ დაკვეთილ პროექტებს. საწარმოში გაწევრიანებულმა პროფესიულმა სტუდენტებმა ორ საჯარო სკოლას შეუქმნეს ვებგვერდი.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი, ორივე ლოკაციაზე, კეთილმოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორიცაა პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი, სათავსოები. ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებაში მოწყობილია

კომპიუტერული კლასები, რომლებიც უზრუნველყოფილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთა სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის შემუშავება/დანერგვას, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. პსდ-ს ყველა შენობა-ნაგებობაში ორივე ლოკაციაზე (თბილისში, წერონისის ქ. №208-ში და ხოლო საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში) მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, დაწესებულების მატერიალური რესურსების გამოყენების წესის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. კოლეჯში ორივე ლოკაციაზე ხელმისაწვდომია კაბელიანი და უკაბელო ინტერნეტი. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. კოლეჯი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით არის რეგისტრირებული, შესაბამისად ძირითადი დაფინანსების წყაროა დამფუძნებლების შენატანები. კოლეჯი ასევე იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. საბიუჯეტო პროცესი არის საჯარო და გულისხმობს დამტკიცებული ბიუჯეტის, მისი შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საჯაროობას. სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტი, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას. კერძოდ, დაწესებულება ყოველწლიურად ამზადებს ფინანსურ და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რის შესაბამისადაც, დღევანდელ ტექნოლოგიურ ერაში მათი საჭიროება როგორც ბიზნესში, ისე სამთავრობო სტრუქტურებში ძალიან მაღალია. IT პროფესიონალებზე მაღალ მოთხოვნას Linkedin-ის 2020 წლის ივნისის თვის მონაცემებიც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც დღეს მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესია IT დეველოპერია. ბიზნესისა თუ საჯარო სექტორის მხრიდან დეველოპერებზე მაღალი მოთხოვნის არსებობა ჩვენმა 2020 წლის დასაქმების ბაზრის კვლევამაც დაადასტურა, რომლის მიხედვითაც IT პროფესიონალებზე მოთხოვნა ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ინფორმაციის ტექნოლოგიების კოოპერაციულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2018 წლიდან. აღნიშნული პროგრამა მოთხოვნადია როგორც დამსაქმებელთა, ასევე, აპლიკანტების მხრიდან. 2021 წლის მიღების ფარგლებში 50 ადგილზე რეგისტრირებული იყო 153 აპლიკანტი, 2022 წლის მიღებისათვის 269, ხოლო 2023 წლის მიღების ფარგლებში - 279. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება ორივე ლოკაციაზე. ქ.

თბილისში, წერონისის ქ. №208-ში პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას საკუთრებაში გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის მითითებით გაფორმებული აქვს შესაბამის ორგანიზაციებთან. აკადემიას პრაქტიკის ხელშეკრულებები -გაცნობითი პრაქტიკა- გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან: სიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ თბილისის 112 საჯარო სკოლა -მისაღები სტუდენტების რაოდენობა 25, შპს "სქაინეთ დისტრიბიუშენ"-მისაღები სტუდენტების რაოდენობა 25. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით ერთ ცვლაში შესაძლებელია 27 პროფესიულ სტუდენტის სწავლება, ხოლო ორ ცვლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია 54 პროფესიული სტუდენტის სწავლება.

ექსპერტის განცხადებით, ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქუჩა №14 ვ-ში პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას საკუთრებაში გააჩნია შესაბამისი მატერიალურტექნიკური ბაზა, ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის მითითებით გაფორმებული აქვს შესაბამის ორგანიზაციებთან. გაცნობითი პრაქტიკის მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან: სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ. საჩხერის №1 საჯარო სკოლა 20 პროფესიული სტუდენტი, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია ერთ ცვლაში 18 პროფესიული სტუდენტის სწავლება, ორი ცვლის გამოყენებით 2*18 =36 პროფესიული სტუდენტის მიღება-სწავლება.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ განხორციელების მიზნით, აკადემიას ქ. თბილისში განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 10 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. ქ. საჩხერეში დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრული ჰყავს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან, 5 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი. ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან კონკურსის/გასაუბრების გზით, ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ორი თანახელმძღვანელი თბილისსა და საჩხერეში, რომელნიც ჩართული არიან პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სსსმ პირების წვდომის უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება სრულად მზადყოფნაშია, საჭიროების შემთხვევაში დაუბრკოლებლად გაუწიონ მომსახურება სსსმ პირებს.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და განიხილეს პროგრამის შეფასებისა და განვითარების რამდენიმე შემთხვევა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ფარგლებში, .სასწავლო პროცესის მიმდინარეობის კვლევის შედეგად, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაიცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმის გადახედვასთან დაკავშირებით, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელებმა მიმართეს აკადემიის რექტორს, 2022-23 წლის მიღების ფარგლებში პროგრამის განხორციელების კიდევ ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, მოდულებში სასწავლო რესურსების გაახლებასთან დაკავშირებით. გარდა აღნიშნულისა, პროგრამის ხელმძღვანელებმა მიმართეს რექტორს და აცნობეს, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პრაქტიკის ობიექტები უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ერიდებიან ორგანიზაციის შიდა ქსელის ლოგიკური და ფიზიკური ტოპოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ხშირ შემთხვევაში „პრაქტიკის ობიექტის“ IT სპეციალისტები ზღუდავენ ლოკალურ სისტემებთან წვდომას პრაქტიკანტებისთვის. ამიტომ პრაქტიკის ობიექტებზე დაგეგმილი რამდენიმე სასწავლო ვიზიტი -ექსკურსიები ეხება ძირითადად მათი IT ინფრასტუქტურის და მუშაობის სპეციფიკის გაცნობას. აკადემიაში არსებული ქსელური ინფრასტრუქტურა და პროგრამის სპეციფიკით მოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია, სრულად უზრუნველყოფს „პრაქტიკული პროექტის" მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას, კოლეჯი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ პრაქტიკული პროექტის მოდული განხორციელდეს სრულად სასწავლო დაწესებულებაში არსებულ C გარემოში. აღნიშნულის შედეგად, განხორციელდა ცვლილება პროგრამაში და მოდულის „პრაქტიკული პროექტის“ განხორციელება ნაცვლად პრაქტიკის ობიექტისა, განხორციელდება აკადემიის სასწავლო საწარმოში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ როგორ ხდებოდა სტუდენტების შეფასება, ხომ არ იყო ეს ერთ-ერთი მიზეზი სტუდენტების მიერ სტატუსის შეჩერების დიდ მაჩვენებელთან და სტუდენტების მხრიდან პროფესიული პროგრამის დაძლევის სირთულესთან დაკავშირებული.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამის სწავლების პროცესში ისეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, რომ სტუდენტს პროგრამა ვერ დაეძლია და ამის გამო სტატუსი შეეჩერებინა ან კვალიფიკაცია ვერ მიეღო. სტუდენტებთან გასაუბრებით და დოკუმენტების შესწავლისას დადგინდა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში იყო გადაბარების შემთხვევაც. აღსანიშნავია, რომ მოხდა განმახორციელებლებთან გასაუბრება და გაირკვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს პრობლემა ექმნებოდა პროგრამის დაძლევასთან დაკავშირებით დაწესებულება ინდივიდუალურ მიდგომას უზრუნველყოფდა, მაგალითად, იყო უცხოელი სტუდენტის შემთხვევა, რომელსაც გაუჭირდა ენის გამო პროგრამის დაძლევა და დაწესებულებამ დამატებითი საათები დანიშნა, იმისათვის, რომ სტუდენტი დასწეოდა პროგრამას და დაეძლია პრობლემური მოდული. მისი თქმით, კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგად 2021 წელს კოლეჯს დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 42%- იანი მაჩვენებელი ჰქონდა, რაც ძალიან დაბალ მაჩვენებლად მიიჩნეოდა, შესაბამისად, დაწესებულების მხრიდან დამატებით გააქტიურდა ამ მიმართულებით მუშაობა პროფორიენტაციის ჯგუფის მხრიდან და ასევე, ჩატარდა არაერთი დასაქმების ფორუმიც, შესაბამისად 2023 წლის კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ დასაქმებული იყო 67% თბილისის ლოკაციაზე, მათ შორის 58% თავისი პროფესიით, ხოლო საჩხერის ლოკაციაზე დასაქმებული იყო 100%, მათ შორის 78% პროფესიით.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ალინა კუპრავამ, გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შექმნა დასაქმების ერთიანი პლატფორმა, Facebook ჯგუფი, სადაც გაწევრიანებული იყვნენ კურსდამთავრებულებიც და მოქმედი სტუდენტებიც. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება იძიებდა აქტიურ ვაკანსიებს სხვადასხვა დასაქმების პლატფორმებზე და ჯგუფში აზიარებდა შესაბამის ბმულს და იყო შემთხვევებიც, როდესაც დამსაქმებლები პირდაპირ უკავშირდებოდნენ დაწესებულებას რეკომენდაციის გასაწევად.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების ხელმძღვანელმა, სოფიო მაჭარაშვილმა, გააკეთა კომენტარი და აღნიშნა ამ კონკრეტული სფეროს დადებითი მხარის შესახებ, რომ ბოლო წლებში ბიზნესის მხრიდან შეინიშნებოდა გაცილებით მეტი ჩართულობა და აქტიურობა, რაც აქამდე არ ფიქსირდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხზე.

დაწესებულების წარმომადგენლმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს გაწეული საქმიანობისთვის და პროფესიონალიზმისთვის. მისი თქმით, სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა მართლაც თვალშისაცემი იყო, ამიტომ, ბოლო წლებში კოლეჯი მაქსიმალურად ცდილობდა არსებული მდგომარეობის გამოსწორებას. ასევე, აღნიშნა, რომ ჰყავდათ ფსიქოლოგი, რომელიც აქტიურად მუშაობდა როგორც პერსონალთან, ასევე ჩართული იყო სტუდენტთა მიღებისა და გასაუბრების პროცესში საუკეთესო ნაკადის შესარჩევად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ვინაიდან, სავარაუდოდ, ავტორიზაციის პროცესი გადაიდება, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით კოლეჯს უკვე ხომ არ ჰქონდა რომელიმე პროგრამა შერჩეული, რომლის განახლებაც სურდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საჩხერის ლოკაციაზე, ახლო მომავალში გაიხსნება ახალი შენობა. კოლეჯმა მოიპოვა USAID-ის გრანტი და იგეგმება ქართული სტუმართმასპინძლობის 12 პროგრამის განხორციელება აღნიშნული პროექტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ხომ არ ჰქონდათ ახალი მეთოდოლოგიით შემუშავებული პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამებიდან ორი პროგრამა უკვე ახალი სტანდარტით იქნებოდა დამტკიცებული და მათი დამატება იგეგმება მიმდინარე წელს, რათა მიღება არ ჩავარდეს. მისი თქმით, რადგან კოლეჯს აქვს სამშენებლო პროგრამა და ასევე, კონსტრუქციების მომწყობიც თბილისში იყო დუალურად დანერგილი, შესაბამისად, ახალი ჩარჩოს მიხედვით მომზადდა რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების პროგრამა, რომელიც უკვე დასრულების ეტაპზეა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა, რამდენადაც, საბჭოს წინა სხდომაზე ამ საკითხის განხილვა ვერ მოესწრო და გადაიდო, წარმოების ვადების გათვალისწინებით, თუ შესაძლებელია, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 8 იანვარი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში(ს/კ:406056173) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 8 იანვარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ